ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2631214

ნომერი: AR1408070

თარიღი : 25.05.2016

გაცემის თარიღი : 02.06.2016

გაცნობის თარიღი : 02.06.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხევძმარი , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ემზარი მელიქიძე პ/ნ 35001035559
- თბილისი ზაჰესი თავისუფლების ქ. N 23

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2381108
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 13.01.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზედ თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
თქვენს მიერ წარმოდგენილ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ბრძანებაში ერთ–ერთ ხარვეზად აღნიშნულია, რომ:
- "ა-ე" ფასადზე მინაბლოკის ნაცვლად მოწყობილია ფანჯარა;
- "7-1" ფასადზე "4-2" მონაკვეთში "ე-ე" ღერძის მიმდებარედ სართულებზე გაუქმებულია ტიხარი და ღიობებში დამატებულია გისოსი;
- პროექტშინაჩვენები საყვავილე სცდება საკადასტრო საზღვრებს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დადგენილი სანებართვო პირობების დარღვევით/შეუსრულებლობით განხორციელებული მშენებლობა ქალაქგეგმარებით პირობებთან შეუსაბამობაშია და სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დადასტურების შესახებ.

საჭიროა, მიჯნის ზონებში ღიობებთან დაკავშირებით წარმოადგინოთ მომიჯნავე მიწის მესაკუთრეთა თანხმობები. ხოლო საყვავილესთან დაკავშირებით წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წერილი, თუ რამდენად სცდება საყვავილე საკადასტრო საზღვრებს. იმ შემთხვევაში, თუ საყვავილე საკადასტრო საზღვრებს სცდება 0,3 მეტრზე მეტად, საჭიროა პროექტის ნომრმებთან (საკადასტრო საზღვრებთან) შესაბამისობაში მოყვანა.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.